

დღეღმწა

№4, 2015



ბინ უვასუხიბს ირბულის

ჩვენი ჰატარა ირაკლი,
ჩემი უმცროსი ძამიკო,
უცნაურ კითხვებს გვისვამს და
სურს, ყველაფერი გაიგოს.

- მზე როცა ჩადის, სად ჩადის
ან დილით როგორ ამოდის?
ღრუბელი წვიმას რომ გზავნის,
მერე იმ ღრუბელს რა მოსდის?

წრწუნას თხილი რად უევაწს?
მელას რად უევაწს ჩიჩია?
ვინც უოველ დილით რძეს დაღვეწს,
მართლა მაგარი ბიჭია?

ღამურა ღამით ხომ ფრინავს?
დღისით რომ ფრინავს ბელურა,
ბელურას რატომ ვეძახით,
რატომ არ ჰქვია დღემურა?

გაზაფხული რომ მთავრდება,
ზაფხული თუკი იწყება,
შემოდგომას რომ მოჰყვება,
მოდგომა ერქვას, იქნება?

კითხვებს იგონებს უცნაურს,
თუმცა სულ ამას ვარიგებ:
- ბიჭო, ირაკლი, გეყოფა,
გაიზრდები და გაიგებ!

მაგრამ მაინც არ ჩუმდება,
მთელი დღე კამათს ვუნდებით:
- შენ რომ დიდი ხარ, და იცი,
მე რატომ არ მეუბნები?



ანგელოზების საბავშვო ბაღი

ლელა ცუცქირიძე

ჩემს ქუჩაზე ერთი ბაღია. გარედან დიდი ასოებით აწერია:



ანგელოზების
საბავშვო ბაღი

ამ ბაღში მშობლებს შვილი ანგელოზები დაჰყავთ.

ძალიან ლამაზი ბაღია, კომპიურებიანი. შიგნით რომ შეხვალთ, ისე მოგეწონებათ, დარჩენა მოგინდებათ.

ბაღში მზე პირდაპირ ჭერზე ამოდის, იატაკზე ნამდვილყვავილებიანი ფარდაგები აფენია, პატარა სოკო-შადრევენებიდან წყაროს წყალი მოჩუხჩუხებს.

ოთახებში მაგიდების, სკამების და სათამაშოებით სავსე ყუთების გარდა ხეებიც დგას. ამ ხეებზე საქანელები და ჰამაკები ჰკიდია.

ხეებს ფულუროები აქვს.

ერთ ფულუროში სამზარეულოა, მეორეში პიანინო დგას, მესამეში პირსაბანი და ლამის ქოთნები...

მოკლედ, ლამაზი ბაღია და ისე მომწონს იქაურობა, ამას წინათ ბაღის დირექტორს შევეხვეწე:

– მეც მიმიღეთ თქვენს ბაღში, რა. გეფიცებით,

კარაქიან პურსაც შევჭამ, ფაფასაც და წვნიანსაც სიამოვნებით შევხვრებ.

ბაღის დირექტორმა სათვალე გაიკეთა, ამხელა, დამხელა და მკაცრად მკითხა:

– შენ პატარა ხარ?

– არა, როგორ გეკადრებათ, – ლამის სიცილი ამიტყდა, ეტყობა, ისეთი სათვალე გაიკეთა, რომ პატარა გამოვჩნდი. არადა, რაღა დროს ჩემი პატარაობა!

– ჰოო, – დაფიქრდა ბაღის დირექტორი და ახლა უფრო მკაცრად მკითხა: – არც ანგელოზი ხარ?

– უიმე, რას ბრძანებთ, რა ანგელოზი?! ფრთები მე არ მაქვს და არაფერი, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, – ცოტა არ იყოს, დავიმორცხვე.

– აჰა, გასაგებიაა, – სათვალე გაისწორა ბაღის დირექტორმა, – მაშინ ვერ მივიღებ.

– ეჰ, – გული დამწყდა მე, – არადა, სულ ასეთ საბავშვო ბაღზე ვოცნებობდი.

– იქნებ, ჩვეულებრივ საბავშვო ბაღში იარო, – შევეცოდე ბაღის დირექტორს, – აი, სამსახურის საბავშვო ბაღი რომ ჰქვია, იქ.

რა უნდა მექნა? კარგი-მეთქი, ვუთხარი.

ჰოდა, სანამ სამსახურის საბავშვო ბაღში წავიღოდე, მინდა მოგიყვებოთ იმ ანგელოზებზე, ანგელოზების საბავშვო ბაღში რომ დადიან.

სხვათა შორის, ზუსტად თქვენაირები არიან: თქვენაირად ცელქობენ, იცინიან, ტირიან, ჭირვეულობენ...

აი, გაგაცნობთ და, იქნებ, დამეგობრდეთ კიდევ.



მინდვრის ანგელოზი

ანგელოზების საბავშვო ბაღში მინდვრის ანგელოზი დადიოდა. მინდვრის ანგელოზს ღიღილოსფერი თვალები ჰქონდა და ამიტომ ყველა ღიღის ეძახდა.

კეთილი ანგელოზი იყო: ქალაქელ ბავშვებთან მიფრინდებოდა-ხოლმე.

ამ ბავშვებს ნამდვილი მინდვრი არც კი ჰქონდათ ნანახი.

ჰოდა, გაუშლიდა ღიღი თავის მინდვრის ფრთებს, რომელზეც პაწაწინა მწერებს და ცხოველებს ატრაქციონი ჰქონდათ მოწყობილი, და უნდა გენახათ ბავშვების სიხარული:

გამოეფინებოდნენ ამ მინდვრზე და აი, როგორ ერთობოდნენ:

აბლაბუდების ბატუტზე ხტუნაობდნენ კალიებთან ერთად;

ბაბუაწვერას ბამბის ნაყინით იტკბარუნებდნენ პირს;

ჭიამაიების სასაცილო სარკის კოპლებიან ფრთებში იხედებოდნენ და ხითხითებდნენ;

ღიპიან ზაზუნებთან ერთად ბალახის საქანელაზე ქანაობდნენ;

ფუტკრების დამზადებულ, ჯოხიან თაფლის კანფეტებს წუწნიდნენ;

შროშანების ფინჯნებიან ბორბალზე ტრიალებდნენ;

ლოკოკინები კაფე-ნიჟარებში ეპატიჟებოდნენ: მობრძანდით, გემრიელი მაყვლის ლიმონათი და მარწყვის ნაყინი გვაქვს, თანაც უფასოდო.

უარს ვინ ეტყოდათ?! ის კი არა, ერთხელ მეც მინდოდა ამ კაფე-ნიჟარაში შესვლა, ვვიფლები მარწყვის ნაყინზე, მაგრამ ვერ შევეტეი, — იქ თურმე მართო ბავშვები ეტევიან...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ღიღის მინდვრის ფრთებზე ისე კარგად ერთობოდნენ ბავშვები, სახლებში ძლივს მიჰყავდათ უფროსებს.

აბა, რა იქნებოდა, ასეთ მინდვრზე რომ მოხვდეთ, თქვენც კი გაჯიუტდებით, სახლში წასვლა არ გვინდაო.

აი, ეს მინდვრის ანგელოზი ღიღი დადიოდა ანგელოზების საბავშვო ბაღში.

— ადექით, გათენდა, ბაღში არ დამავციანდეს! — უთენია იღვიძებდა ღიღი, წამოხტებოდა და ფრთების ფართხაფურთხით იცვამდა ტანსაცმელს.

— რა დროს ბაღია, ჯერ გათენებულიც არაა, — ბუზღუნებდა მამა.

— გათენებულია, გათენებულია! — თავისას არ იშლიდა ღიღი და უკვე ფეხსაცმელს იცვამდა.

ნეტავ ფეხსაცმელი რად უნდოდა? სულ დაფრინავდა.

— ცოტა ნელა, თორემ ჩამოვვარდები, — წრიპინებდა გზაში მინდვრის ფრთაზე ჩამოკონწიალებული ღიღის მეგობარი, ფხაკუნა თავი თათანია და ბალახს ებლაუჭებოდა.

თათანია ღიღის ფრთებზე ცხოვრობდა.

ღიღის მეგობარი ძალიან უყვარდა და მის გარეშე ბაღში არ მიდიოდა. ალბათ, თქვენც არ მიდიხართ ბაღში საყვარელი სათამაშოს გარეშე, არა?

ჰოდა, ერთ დღესაც გაიღვიძა უთენია ღიღიმ, წამოხტა, დაფაცურდა, იტრიალა, იბზრიალა და ბაღში გაფრინდა თათანიასთან ერთად.

— გამარჯობა, — შესვლისთანავე მხიარულად დაიძახა ღიღიმ, მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

გაოცებულმა ღიღიმ ჯგუფულ ანგელოზებს გადახედა, ყველა მოწყენილი იყო.

— რატომ მოგიწყენიათ? — იკითხა გაოცებულმა, — ჯერ ხომ ფაფა არ მოუტანიათ?

— ჩვენს გაღია ანგელოზს თურმე აი, ის აქვს, დიდ ქალებს რომ ჰქვიათ, ანგელინა, ყელი სტკივა, — უთხრა სიზმრის ანგელოზმა და ტირილი დაიწყო.

— მართლა? — ღიღი მიხვდა, რომ გაღია ანგელოზს ანგინა ჰქონდა, ჭკვიანი იყო.

— მართლა ჰო, გუშინ აი, ამდენჯერ დააცემინა, — თქვა გაჩეჩილმა ანგელოზმა და სამი თითი გაფარჩხა.

— სამჯერ არა, ათჯერ, — მაშინვე შეუსწორა ჭირვეულმა ანგელოზმა.

— არა, ამდენჯერ, — გაუმეორა გატეხილი სათამაშოების ანგელოზმა და ჩუმად თითები მაინც გადათვალა ხომ არ მეშლებო. არაფერიც არ ეშლებოდა, ზუსტად სამი თითი ჰქონდა გაფარჩხული.

— ათჯერ-მეთქი, — ფეხები დააბაკუნა ჭირვეულმა ანგელოზმა.

— ნეტავ როგორ დაითვალე, ათამდე თვლაც კი არ იცი, — გაბრაზდა გატეხილი სათამაშოების ანგელოზი.

— აი, თუ არ ვიცი: ერთი, სამი, ხუთი და ორი და ათი. — მაშინვე დაითვალა ჭირვეულმა ანგელოზმა.

— რა ამბავია აქ? — დაიქუხა უცებ ოთახში ცეკვა-ცეკვით შესულმა კუკური ჯადოქარმა!

ცეკვის მასწავლებელ კუკურის ჯადოქარს იმიტომ ეძახდნენ, რომ ძალიან ბრაზიანი იყო და სულ ემუქრებოდა პატარა ანგელოზებს, კარგად იცეკვით, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამთო.

— ალბათ, გაგვაქვავებს ან გაგვაქრობს, — ჩურჩულებდნენ შეშინებული პატარა ანგელოზები.

ახლაც შეეშინდათ და აქეთ-იქით ფაცხაფუცხით გაფრინდნენ.





მინდვრის ანგელოზი ყვავილებიანი ფარდავის ქვეშ შეძვრა, მინდვრის ფრთები მაქვს და აქ ვერ შემამჩნევსო;

გატყნული სათამაშოების ანგელოზი სათამაშოების ყუთში ჩაყრავდა, მართალია, ფეხები ზევით დარჩა, მაგრამ თვითონ ხომ ვერ ხედავდა?

მსუქანა ანგელოზი ფულუროში კი შეძვრა, მაგრამ ბოდიში და ფუძფულა ტაკო გარეთ დარჩა გამობზეკილი;

სიზმრის ანგელოზი ჰამაკში ჩახტა და თავზე საბანი წაიფარა, ვითომ მძინავსო, სინამდვილეში მართლა ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა.

მოკლედ, ყველა დაიძალა.

– სად წახვედით? – დაიქუხა ისევ კუკური ჯადოქარმა, – გამოდით ახლავე! აბა, ცეკვით, ცეკვით! ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი-სამი-ოთხი... – და ანგელოზებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ, ცეკვით გამოლაგდნენ სამალავებიდან.

მოფრინავდნენ, ტრიალებდნენ, ბზრიალებდნენ. ცეკვა ძალიანაც უყვარდათ, მაგრამ ყვირილის და ჩხუბის ეშინოდათ. აბა, ყვირილის და ჩხუბის ვის არ ეშინია?!

– აბა, თანაბრად, – ყვიროდა კუკური ჯადოქარი, – ერთი-ორი, ერთი-ორი... ეი, შენ, ძილისგუდავ, გამოფხიზლდი, თორემ მოვიდა წეკება ფრთებზე! ეი, შენ, ღიღი, გაშალე ეგ ფრთა წესიერად, თორემ მე ვიცო, რასაც გიზამ!

ვაიმე, არ გამაქვავოსო, შეეშინდა ღიღის, შიშისგან თვლა აერია და ფრთა არასწორად ააფარფატა.

– ახლა მოვალ და მაგ ფრთას მოგაწიწვნი! – დაიქუხა კუკური ჯადოქარმა და ღიღის ფრთას ეცა. და ამ დროს...

ხომ გახსოვთ, ღიღის მეგობარი რომ დაჰყავდა ბაღში? დიახ, დიახ, ფხაკუნა თავი თათანია.

ჰოდა, გაგიჟდა თათანია, ეს რა ესმის ჩემს ყურებსო, რას ჰქვია, ჩემს მეგობარს ფრთა მოაწიწვნილო, ხომ ეტკინებაო?! ან, საერთოდ, ანგელოზს რომ ფრთა მოაწიწვნიო, ის რაღა ანგელოზიაო, ბავშვებთან როგორღა უნდა მიფრინდესო? როგორღა უნდა გაახაროსო? სულ რომ ქვად მექცეს ჩემი საამაყო კუდი და ყურები, მაგ კუკურის მაინც მოვუვლიო, დაიქაღნა და ფხაკუნით გამოძვრა ბაღახიდან.

– ვაიმე, თავი! – შესძახა შეშინებულმა კუკური ჯადოქარმა. ვინ წარმოიდგენდა, ჯადოქრებსაც თუ ეშინოდათ თავგების?! ან, საერთოდ, რამის თუ ეშინოდათ?

ახლა გიჩვენებ სეირსო, ისკუპა თათანიამ და კუკური ჯადოქარს პიჯაკზე მიახტა!

– ქვა-ქვუ-ქვო-ქვე-ქვი! ქვა-ქვუ-ქვო-ქვე-ქვი! – წამოიყვირა კუკური ჯადოქარმა თავისი ჯადოსნური სიტყვები, მაგრამ ამაოდ, – თათანიას სულაც არ სჯეროდა ჯადოქრობის და, რადგანაც არ სჯეროდა, არც გაქვავებულა. პირიქით, ახლა თმაზე ჩამოეკიდა კუკური ჯადოქარს.

– ვაიმე, მიშველეთ, მიშველეთ! – აყვირდა კუკური ჯადოქარი და დატრიალდა, მაგრამ რა დატრიალდა! ხან კელელს მიეჯახა, ხან ხეს, ხან მაგიდას, ხან სკამს...

რაღა დავმალო და პატარა ანგელოზებს ამის დანახვაზე ისეთი სიცილი აუტყდათ, ისეთი სიცილი, რომ – რა ფრთის გასწორება, რის ცეკვა?! თავი ველარ შეიკავეს, იატაკზე გაგორდნენ და ფეხები აასხმარტალეს.

– მომაშორეთ ეს თავი და გპირდებით, ცუდად აღარ მოგექცევით! – ყვიროდა კუკური ჯადოქარი კარადის ქვევიდან, თურმე ამდენ ტრიალში გადმოყვირავებია და ქვეშ მოყოლილა.

ვის ჰქონდა მისი გამოყვანის თავი? სიცილისგან ველარ დაფრინავდნენ. ბოლოს ისევ ღიღის შეეცოლა და თათანიას სთხოვა, თავი დაანებო.

– აბა, ერთი, კიდევ გაბედე ამ ანგელოზების შეშინება! – მკაცრად დაუქნია კუდი თათანიამ კუკური ჯადოქარს და ღიღის მინდვრის ფრთაზე აცუხცუხდა.

კუკური ჯადოქარი კრუსუნით გამოძვრა და გაიძურწა.

თუმცა მისთვის აღარავის ეცალა. გახარებული პატარა ანგელოზები ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ, სხვათა შორის, ძალიან, ძალიან ლამაზად და კარგად.




მომდევნო ნომერში სხვა ანგელოზის ამბავს ვიამბობთ.



თავსაცხენები

მხატვარი როინა პულაგია



1. შეავსე კროსვორდი;
2. ვინ უნდა იჯდეს მე-8 საჰაერო ბურთში?
3. იპოვე ერთნაირი საჰაერო ბურთი;
4. დაეხმარე კატას ლაბირინთიდან გაემოსვლაში;
5. იპოვე ნახატში 6 ჩიტი;
6. გააფრადე ცხოველების სახლები მათი ნომრების მიხედვით;
7. დათვალე, რამდენი წრეა ნახატზე.



ნათია ჯანაშია

ნის კარგებით მოცანილი ვაზაფხული

- შავ წერტილებს ხელავ ცაზე?
- ჰო, მერცხლების გუნდებია,
შორი გზიდან მოფრინავენ,
სამშობლოში ბრუნდებიან.

სიხარულით ჭიკჭიკებენ,
გულთეთრები, ფრთახატულნი,
ნისკარტებით მოაქვს ყველას
თავის წილი გაზაფხული.

ყოჩი

ყოჩივარდა
გაყაყოხდა,
ყოჩი ვარ და
ამიტომო,
გაზაფხულის
ყვავილებმა
თავი აღარ
გამიტოლონ.

იამ გულში
გაიფიქრა,
შენი ტოლი
როდი ვარო,
გაზაფხულის
მახრობლად
სულ პირველი
მოვდივარო.



მხატვარი თამთა მამუკელაშვილი



ახირებული კითხვები

აგდებენ, როცა
სწიღებათ და იღებენ,
როცა არ სწიღებათ.

5 4 7 1

--	--	--	--

ნა შეიძლება ნახო
დახეული თვალით?

14 3 7 11 1 13 3

--	--	--	--	--	--	--

ჭაქარაა, ნაწრისფერი
და სწიღოს ჭკავს.
ნა არის?

14 12 10 3 16 6 3

--	--	--	--	--	--	--

როგორ ქვას ვერ
იპოვნი წევაში?

11 17 13 1 10 14

--	--	--	--	--	--


შეგიძლია მოამზადო,
მეგრამ ვერ შეჯამ.
ნა არის?

5 1 9 6 2 8 3 10 3

--	--	--	--	--	--	--	--

თუ ვაგიჭირდა
პასუხების
ამოსაცნობად გასაღები
იპოვე ჟურნალში.

მარიამ ცუსიშვილი,
14 წლის, 106-ე საჯარო სკოლის მოსწავლე



ნინი და ჭიამაია



იყო ერთი პატარა, ღამაში და კეთილი გოგონა, ახლად დაბადებული ნაკადულივით უმანკო. გოგონას სახელად ნინი ერქვა. ცადაწვდენილი მთებით გარშემორტყმულ, ხშირი ტყით დაფარულ სოფელში ცხოვრობდა. ხშირად სეირნობდა, ძალიან უყვარდა ბუნება და მთელი გულით შესტრფოდა მას.

ერთ დღით ნინი, ჩვეულებისამებრ, გარეთ გამოვიდა. ირგვლივ საოცარი სურნელი იფრქვეოდა. გოგონამ ჭიამაია შეამჩნია, რომელიც მუხის ფოთლის წვერზე მიცოცავდა. ცოტაც და, ჩამოვარდებოდა. ნინიმ მაშინვე აიყვანა, ხელზე დაისვა და ჩასჩურჩულა:

– რა მშვენიერი ხარ ძვირფასო! ამ დროს უცნაური ხმა შემოესმა:

– გამარჯობა, მე ჭიჭი მქვია, შენ?
ნინი შეცბა, გაიხედ-გამოიხედა, გარშემო სიჩუმე იყო. არა, ნამდვილად გაიგონა, არ მოესმა, ჭიამაია ესაუბრებოდა.
– მე ნინი ვარ, – უპასუხა გოგონამაც.
– მადლობა, რომ გადამარჩინე. ოქროს გული გქონია.
– კი მაგრამ, შენ ლაპარაკობ? – ჭიჭი გაოცებულმა ნინიმ.
– რა თქმა უნდა, ლეგენდა მაინც არ გაგიგია ჩემ შესახებ?
– როგორ არა. ნუთუ ეს ყოველივე სიმართლეა?!
– დიახ. – მიუგო ჭიჭიმ.
– მაშინ მითხარი, დღეს როგორი ამინდი იქნება?

ჭიამაია, ცოტა არ იყოს, შეფიქრებდა, მერე უთხრა:

– აი, ახლა აუცილებლად იწვიმებს. და წამოვიდა შხაპუნა წვიმა... გოგონა სახტად დარჩა. ამის შემდეგ ნინი და ჭიჭი დამეგობრდნენ. ჭიამაიამ ასწავლა მას, თუ როგორ იცნობდა ამინდს. ნინიც ყვავილებით ანებივრებდა.

მაგრამ ერთ დღესაც ჭიამაია აღარ გამოჩნდა. ბევრი ეძება გოგონამ, შემოიარა მთელი ქვეყანა, დაათვალიერა ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ ამაოდ. თუ სადღაც ჭიამაიას მოპკრავდა თვალს, ეძახდა: ჭიჭი... ჭიჭი...

დრო გადიოდა, ნინი გაიზარდა. ის საუკეთესო სინოპტიკოსი გახდა, მაგრამ ძველი მეგობარი არასოდეს დავიწყებია.



ვიოხვი
ჩიქვირამე
6 წლის,
174-ე სკოლის
მოსწავლე


ჭინჭო და ნექტარა

უსხოვარ დროს, ტყის განაპირას ერთი ხის ფულუროში, დედა ფულტკარი ნექტარა ოჯახთან ერთად თაფლისთვის ცვილის სასახლეებს აგებდა.



ამ ხის ძირში თავის მოდგმაში ცნობილი ჭიანჭველურ ჭინჭოს მრავალშვილიანი ოჯახიც ბუდობდა.

ერთ დღეს ჭინჭომ მოინდომა გაეცნო ნექტარა, რომლის სადგომიდან საამო სურნელი იფრქვეოდა და ცვილის ტკბილი ნამცეცები ცვიოდა. იცოცა, იცოცა და მიცოცდა ფულუროსთან.




შესდექ! მოყვარე ხარ თუ მტერი?



მტრობა რა საკადრისია, მეზობელო, ერთი ხის შინაფრები ვართ, უნდა ვიწინააღმდეგო ერთმანეთს: ჭირია, ლხინია...



თაფლზე ტკბილია შენი სიტყვა, კეთილი იყოს შენი ფეხი.



გვფარავდეს გამჩენი! ჩემი მოდგმა ტკბილეს მუსუსი სია, მაგრამ მერნმუნე შენ ჩვენგან ზიანი არ მოგადგება. ჩვენ ერთმანეთის იმედი უნდა გავიტანოთ თავი.

მერ თქვენი სამყოფი თაფლის ნვეთი არ დაძლევა.

ასე დაძმობილდნენ ჭინჭო და ნექტარა.



არ გავიდა დიდი ხანი და ნექტარამ ფულუროსთან ჭიანჭველას ნაფეხური შენიშნა; არ დაიბზულია, იქნებ მომეჩვენა, თვალი უნდა მივადევნო. მიადევნა და რას ხედავს: ხის ძირში ფუის ჭიანჭველების ლაშქარი.



მაია კარსალი

ძიჯა წყარო

წყაროს დილით დააუიწუდა
ჩვენს ბოსტანში მობუნა,
გაუხვია ტბისკენ სტუმრად
ციცქნამ, თითისოდენამ...

- უსაუზმოდ როგორ გავძლო! -
გაიბურა ჰამიდლო, -
წუხანდელი ვახშმის მერე
დამჩხა წვეთი ორად ორი!

არონროსდა ჭარხალი:
- წვალი გვინდა ახალი!
- გამერუჯა მზეზე კანი!
ნუთუ დაურჩი დასაბანი?! -
აჯუჯღუნდა ბადრიჯანი.

- მივაჩვიე სამი შვილი,
პირს იბანდნენ ეოველ დილით,
ხელიც ჰქონდეთ დაბანილი! -
ამბობს ზრდილი კარტოფილი.

- როდის გავავლო სამოსი?
ზეწარი, სუფრა ან ტილო?
სარეცხი როდის გავუინო? -
ჩივის ქოჩორა სტაფილო.

- ვინ გვიშველის წყაროს გარდა?
გამოვარდა კარში ბარდა.

- რა გამანარებს დაჟღაჟა ბოლოვს?
ქვ, ჩამოვსმები, ბოლოს და ბოლოს.

- ნეტავ, მქონდეს - ნატრობს კიტრი, -
წეაროს წყალი ერთი ლიტრი!

ოხრავს, ტირის ნიანსური:
წეაროს წყალი მინდა სურით!

- დაუჩით უწელოდ?
ეს რა მესმის?!
მომწედა ფესვი, - კვნესის ნესვი.
- წეაროვ, სშირად გაბრანებდი,
გემანდი აბუნანს,
აღარ მოხვალ ჩემთან, არა? -
ნესემა ცრემლი გადმოყარა.

სულ გამწარდა წიწაკა,
თავში ხელი იტაკა:
- წეაროა მართალი!
არის ჩენი ბრალი,
რომ არა გვაქვს წეალი!
მადლობას ვისწავლით!
გამოთათხა ებაეცი:
- ნუ ხარ ასე ამაეი!
იცი, რატომ ვცხარობ?
ვერ ამხნევი წეაროს!

- მე გამწეწა! - თევა კომბოსტომ, -
დამისველა კაბის ბოლო,
ეჰ, ვუთხარი, ქარაფმუტავ,
ცეკვაში ხარ მარდი მხოლოდ!

- ავიკელით სავეედურით,
სულ ვემანდი, მუნწი ხარო!
ჯერ დაგებანე, გვანსაუხმე,
რას გარბისარ? რატომ ჩეარობ?!
აღარ მოვა ჩვენთან წეარო,
სხვისთვის ცეკვავს,
სხვისთვის ხარობს...

- ახი არის თევენსე, ახი! -
გაუბრანდა ვეელას ხახვი.

უცბად...
წეიმაც წამოვიდა:
- ხომ არ დატკნით, არ გადანმით?
ინახულა ნესვიც, ხახვიც,
ბოლოკიც და სეელი კვანცი:
თურმე წეაროს გამოეშვა,
გაინარეს მისი ნახვით.



9



არხეინად იყავ, ნექტარავ, გზად შემომიარეს, შეისვენებენ და ნავლენ.


ჭინჭო, რამდენი თვისტომი გსტუმრებია?

10




ნექტარამ ჭინჭოს სტუმრებს პატივი სცა – ფიჭა თაფლის ნამცვრევი ჩაუფრქვია.

15



ნექტარა მიყენებულ ზიანს გოდებდა. იმდენი იბზუა, რომ მისი გოდება მეტყვევის ყურს მისწვდა. მიჰყვა ამ ზუზუნს და ნექტარას სადგომს მიადგა.

11



ხისკენ!

12



საამო ნუგბარზე აქოთქოთდა სტუმართა ჯგრო, იხუვლა და ერთიანად შეესია ხეს.

16



იმ დღიდან ნექტარა და ადამიანი დამეგობრდნენ.

13




შესდევით უკან დაინიეთ!


ჭინჭო და მისი ოჯახი ჭიანჭველებს გზაზე გადაუდგა, მაგრამ არავინ ისმინა მისი ვედრება, ვერც კი გაიგეს, ისე გადათელეს ოჯახიანად.

კაცმა ფუტკრის ოჯახი სკასასახლეში დაასახლა და მას მერე დაუღალავად ზრუნავს მეგობარზე.

17



ამ ორომტრიალში გათენდა კიდეც.



14

საგონებელში ჩავარდნილმა ნექტარამ, ნესტარი მოიმარჯვა მტრის დასახვედრად, მაგრამ მის ბედზე ისეთმა წვიმამ დასცხო, რომ წალეკა ხეს შესეული ჭიანჭველები.

ნექტარა კი ატკობს ადამიანის ყოფაცხოვრებას მზისფერი ფიჭა თაფლით. „ყველა მწერი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის“ – ლილინებს ფუტკრის შრომის მაღლიერი ადამიანი მისი ფუსფუსის შემყურე.

ჭინჭო ჭიანჭველეთში მოღალატედ შერაცხეს, საფუტკრეთში კი დღესაც პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.




ფ



ამ ნახატებიდან რომელი
ინყება ასო „დ“-ზე

მხატვარი ლაშა სულაკაური



დაეხმარე განძის მაძიებლებს,
მიაჩწიონ სვენამდე და მოიპოვონ
საიდუმლო ქვრაცხი.

კვირული პატარები

ცერქი გოჭი

ტომრიდან რომ კარტოფილი
გადმოვარდა... ბატმა ნახა.
ინვს გასძახა კმაყოფილმა:
– ფეხბურთს გავაჩაღებთ ახლა!

დაჭკრის ბურთი დაბლა, მაღლა,
წინ და უკან, მარცხნივ, მარჯვნივ.
უცქერს ძროხა, კატა, ძაღლი,
ევავი ჩხავის: დარტემა მარჯვედ!

კაჭკაჭი მოფრინდა სოფლად,
კახტად მოიღერა ყელი.
ევავიც დაიღვარა ოფლად:
– ორით ნოლი, ორით ნოლი!

არ უჩანდა შეჯიბრს ბოლო,
ძლიერი ვერ გამოვლინდა,
უცებ ბავშვმა ცელქი ღორი
გამოუშვა საღორიდან...


– აბა, მორჩით! – თქვა მან მკვირცხლად,
ეცა ბურთს და... მსწრაფლ მოჰკურცხლა.

*პოლონურიდან თარგმნა
ჯემალ ჭალიაძე*



მხატვარი
ბიორგი ჩაჩანიძე

აზა განსლანიძე



რხაბრები

თუმცე ლევა ღრუბლები
როცა გაჩნდნენ ქვეყნად,
ცაზე გასეირნება
გადაწვევითეს ერთად.
მიცურავენ ნარნარად,
ზეცა განვლეს შვიდი,
გაუკვირდათ ძალიან,
ცა რომ ნახეს დიდი.

გაასსენდათ ბოლოს
საყვარელი დედა,
შემოაწვათ უცებ
საოცარი სევდა,
სასლმი უნდა დავბრუნდეთ!
– გადაწვევითეს სელად,
მაგრამ გზას ვერ იგნებენ,
იღვრებიან ცრემლად.

ხვამრი, იგივე ხომრი



ჩვენ უკვე მეორედ ვხვდებით ერთმანეთს. აბა, ვახსენოთ ღმერთი და ფრთხილად გავხსნათ საიდუმლო ცოდნის ზარდახშა. რადგან საიდუმლო ცოდნისკენ მიმავალ გზას დავდგომივართ, სამჯობინო იქნება, ეს ცოდნა წმიდა და იღუმალადგილებში ვეძიოთ.

დავიწყოთ ჩვენი სამშობლოთი...

საქართველო. ლეჩხუმი. ხვამლის, იგივე ხომლის მთა.

დაიხსომე, ყოველი ადგილის სახელწოდებაში გარკვეული შინაარსია ჩადებული. გამონაკლისი არც ხვამლი, ანუ იგივე ხომლია.

„ხვამლი“ უძველესი დასავლურ-იბერიული (დასავლეთ საქართველო) სახელწოდებაა და ნიშნავს „დალოცვილს“. ხვდები, ალბათ, რა უსაზღვროა ამ სიტყვის შინაარსობრიობა. ერთი სიტყვით, ეს არის ის, რასაც, უბრალოდ, ღვთით კურთხეულს უწოდებენ.

ხვამლის მთა, მისი ბუნება, მისი ეკლესია – ეს არის ღმერთის, ბუნებისა და ადამიანის შენაქმნი ერთ-ერთი საოცარი, იღუმალი და წმიდა ადგილი დედამიწის ზურგზე, გამაოგნებელი კომპლექსი, რომლის შესაქმნელად ერთნაირი რუდუნებით იღვანა ღმერთმა, ბუნებამ და კაცმა, მაგრამ...

ყველაზე მთავარი და უპირველესი მაინც ღმერთი იყო, რადგან მან შექმნა ის, რასაც ვხედავთ, რასაც ვერ ვხედავთ და რასაც ადამიანები სამყაროს ვეძახით.

გაგონილი გექნება, ალბათ, ყოველივე ამის შექმნას უფალმა ექვსი ბიბლიური დღე მოანდომა, თითო დღე კი მილიარდობით ადამიანურ წელს უდრიდა. რა თქმა უნდა, ეს წარმოუდგენლად შრომატევადი საქმე გახლდათ – უფალი რომ უფალია, ისიც დაშვრებოდა. მეექვსე დღის მიწურულს კი – უკვე სამყაროს კეთილმა მეპატრონემ – შექმნა ადამიანი. შემოქმედმა ბოლოს თავის ნაღვანს თვალი გადაავლო, თქვა, ყველაფერი კეთილი და კარგიაო და დასვენება განიზრახა.


დასასვენებლად მიმავლმა კავკასიის ცადაბ-ჯვნილ ქედს ფეხი წამოჰკრა და მის შენაქმნთაგან თუ რამ ძვირფასი აერჩია, ყველაფერი აქ, ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე მიმოუფანტა. მან აქ, ლეჩხუმის სანახებში მთლიანად დაიბერტყა თავისი მადლიანი კალთა. ამიტომაც არის ეს ადგილი, თითქოს მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი, გამორჩეულად საოცარი, ზეციური სინმიდით, იღუმალებითა და მიწიური დიდებულებით მოსილი.

გარდა უფლისა, გადმოცემის თანახმად, ეს ადგილი ქართველ მეფეებსაც შეურჩევიათ თავიანთ განძთსაცავად. ამის გამო გვაუწყებს „ქართლის ცხოვრება“: „ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს.“

მართლაც, ამ ღვთივკურთხეულმა, დალოცვილმა და წმიდა ადგილმა უნდა იხსნას ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა.

და ოდენ უფლისა და ჩვენთა მეფეთა ძვირფასეულობა როდი შენახულა აქ! აქ სხვა, უფრო დიდი და იღუმალი საგანძური უნდა იყოს დაცული. ფიქრობენ, რომ ხვამლის მთა – ეს უნდა იყოს საიდუმლო ცოდნის სამყაროში გასასვლელი კარიბჭე, როგორც შამბალა ან აგარტა (მათ შესახებ „დილა“ აუცილებლად გიამბობთ თავის მომდევნო ნომრებში). ამით თუ აიხსნება ხომლისკენ ამაველ გზებსა თუ ბილიკებზე ამდენ ციხე-გოდოლთა არსებობა. ასეთ აუნონავ საგანძურს სხვა გზით როგორ დავიცავდით?!





ხვამლის სალოცავი – უკველესი ობსერვატორია

ხომლის ციხე-ქვაბულის კლდეზე ზოდიაქოს ნიშნებიანი უძველესი პიქტოგრამები – ნახატ-ანბანებია ამოკვეთილი. მთის თხემზე აღმართული სალოცავის ადრინდელი გეგმარი თანხვდომილია მნათობთა და ვარსკვლავებთან განლაგებისა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს ძველი უძველესი ობსერვატორია უნდა ყოფილიყო.

ყურადღებით დააკვირდი იან ჰეველიუსის ცის ატლასიდან გადმოღებულ ჰიდრას ამ თანავარსკვლავედს. ჰიდრა უზარმაზარი გველია, გველი კი ცბიერებას და სიბოროტეს როდი განასახიერებს. იგი მკურნალობის და, რაც მთავარია, საიდუმლო ცოდნისა და სიბრძნის სიმბოლოც არის. ჰიდრას ზურგზე განთავსებული ეს თასი იგივე გრაალის თასი და „ოქროს სანმისია“; კუდზე დასკუპებული ყორანი კი ის ყორანია, რომელიც ამირან-პრომეთეს უკორტნის გულ-ღვიძლს. ჰიდრას თანავარსკვლავედის ქვემოთ განფენილია „არგოს“ თანავარსკვლავედი, ხოლო მარჯვნივ, კუდის მხარეს – კენტავრის, ანუ, როგორც ძველი ქართველები უწოდებდნენ, მხედრის ხომლია (თანავარსკვლავედია).

სავარაუდებელია, რომ უძველესმა ქართველმა (იბერიელმა) ვარსკვლავთმრიცხველებმა იცოდნენ ამ თანავარსკვლავედთა არსებობა და სახელწოდება „ხომლიც“, ანუ ვარსკვლავთ კრებული, აქედან უნდა მოდიოდეს.

ხვამლის კლდის ერთ-ერთი გამოქვაბულიდან წლის სხვადასხვა დროს წყლის მძლავრი ნაკადი გამოედინება. ადგილობრივთა მონაყოლით, იგი ხან ცხენისწყლის, ხანაც რიონის ხეობისკენ გაედინება. მეცნიერთა აზრით, გამოქვაბულის სიღრმეში რაღაც სისტემა უნდა არსებობდეს, რომელიც არეგულირებს დინების მიმართულებებს. ლეგენდა კი ამ ფაქტს სხვაგვარად ხსნის: თითქოს ამ დინების სათავეში ურჩხულია განოლილი, რომელიც დროდადრო გვერდს იცვლის და ამის გამო იცვლება დინების მიმართულება. საინტერესოა, რომ ამ გამოქვაბულს „ვერძისთავას“ ეძახიან. საფიქრებელია, იგი უკავშირდებოდეს არგონავტთა და ოქროს სანმისის მითს.

მითი, ლეგენდა და...

ბერძენთა მითის მიხედვით, დიდმა ღმერთმა, ზევსმა პრომეთე, რომელმაც ცეცხლი წარსტაცა ღმერთებს და ადამიანებს ჩამოუტანა, დასაჯა და კავკასიის მთებს მიაჯაჭვა. ბერძნულ მითზე დაყრდნობით, ფრანგი ფანტასტი მწერალი, ჟიულ ვერნი თავის რომანში „შეუპოვარი კერაზანი“ ასე აგვიწერს ამ ამბავს: „ამ მთებში (ლაპრაკია ლეჩხუმის მთაზე – ა.გ.), რომლებიც ჰორიზონტს ქუთაისთან კვეთენ, იაფეტიკისა და კლიმენას შვილი, პრომეთე, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა, იუპიტერის ბრძანებით ხომლის მწვერვალზე მიაჯაჭვეს, რომელსაც ყორანი უკორტნის გულ-ღვიძლს“.

პრომეთეო – ამბობენ ბერძნები, ხოლო ევროპელებმა არ იციან, ეს მითი ბერძნებმა ქართველთაგან რომ მიითვისეს და ჩვენი ამირანი პრომეთედ მონათლეს...



მასალა მოამზადა
ალექსო გაბელაიამ

ყვერათეხს მიხეცა

– წიგნო, რად გჭირდება
ამდენი ფურცელი? –
– როცა წამიკითხავ,
თვითონვე მიხვდები!..

და რომ წაიკითხა,
ყველაფერსაც მიხვდა,
რადგან ყველა კითხვას
უპასუხა წიგნმა!..



თამაზ გველესიანი



ოხი მქოორი


სულ ჩსუბობდნენ, დაობდნენ
ზურაბი და ონისე
მამის ნაყიდ ჰატარს
ცისფერ ავტომობილსე.
მუდამ გაუთავებლად
მოკინკლავუთ, მოდავუთ,
მამამ მართვის უფლება
ჩამოართვა ორთავეს.

ხეროსანი

არ ისვენებს აბესარი,
ჩხირკედელა ცეღეი ვანო,
ჩაქუჩით და ხერხით დადის –
ხელოსანი ბიჭი ვარო.
კარს საკეტი მოაწალა
და ლურსმნები დააჭედა.
ამტვრია და რაღაც ხერხა,
ვითომ საქმე გააკეთა.



ჩასასა უსსო, უნია



თეფშზე ნამცხვარი იდო. არავინ ჭამდა. მას სწყინდა, თუმცა, შეჭმა რომ მოუნდომეს და დაჭრა დაუნყეს, მტკივაო, აყვირდა. ასე დიდხანს გაგრძელდა და ისიც იდო და იდო, ვიდრე სხვა ნარჩენებთან ერთად არ მოისროლეს...

მეოთხეკლასელი ნიკი ლაგვილავას თბულებიდან

იყო და არა იყო რაო – ხშირად ასე იწყებენ თხრობას, მაგრამ ნამცხვარზე, რომელზეც დღეს მინდა გიამბოთ, ამას ვერ ვიტყვი. როგორ თუ არა იყო რა! მშვენიერი ნამცხვარი გამოვიდა. აბა, რა იქნებოდა, რაც ბებია კვერცხი და შაქარი თქვიფა... თან რა აღარ დაუმატა: ეს არა-ყანო, ის კარაქიო, გახეხილი ვაშლიო... შესაძლოა, მე კიდევ გამომრჩეს რამე, მაგრამ ნიკისა და ანუნის ბებიას არაფერი დავინწყებია, შესანიშნავი ცომი გაამზადა, ესეც ასეო, უკრა მერე თავი აერღუმელში და წამით ჩამოჯდა – აბა, დედიკოებს და ბებიებს დიდხანს ჯდომისთვის სად სცალიათ?! ახლაც, სანამ გამოცხვება, ბოსტნეულს გაგრეცხავ და დავჭრიო, – ფიქრობდა.

– აჰა, – გაიფიქრა ბებია და იმით დაინტერესდა, ამ ბიჭს აქამდე რატომ არ ვიცნობდიო. ჰკითხა კიდევ.

– ჩვენ აქ არ ვცხოვრობდით, ცხინვალიდან ვართ. აქ ახლა მოგვცეს ბინა.

– ვა, ბექა? – გამოეგება სტუმარს გოგონა, კარგი ქენი, რომ მოხვედიო და ბებიას შეეხმინა, – ბე, რა კარგი სუნია! მალე იქნება?

– კი, შვილო, მალე იქნება, ცოტაც გაგრილდება და დავჭრი. ჩაისაც ავადულებ...

სალამ-ქალმის შემდეგ ბიჭი მაგიდაზე გაშლილ სურათებს დააჩერდა. იმ ნახატმა მოსტაცა თვალი – მამა და შვილიო – რომ ენერა. ახოვან, ბრგე ვაჟკაცს პატარა ბიჭი ელაციცე-ბოდა და შეჰხაროდა.

– ნეტავი, მამაჩემიც ასეთი დიდი და ღონიერი იყო? – მზერაში ნაღველი გაუკრთა ბიჭს. ამ დროს მისი მობილური ტელეფონი ჩაირთო. ბებია იყო, დედაშენი ცუდად შეიქნა და მალე მოდიო. უნდა წავიდე, – თვალი მოავლო ბიჭმა თანატოლებს და წამოდგა.

ანუნია კარებამდე მიაცილა.

– დედა ჰყავს ავად. იმ ოხერი აგვისტოს ომის მერე, სადაც ბექას მამა დაიღუპა, გულყრა თუ რალაც დასჩემდაო, გავიგონე, თუთა მასწ-მარომ უთხრა მანანას, – თქვა ცისფერთვალა ლევიკომ, უფროსი ძმების გამონაცვალა ლურჯი მისურებითა და პერანგებით რომ დადიოდა... ბებია შემოიხედა და ბავშვები სამზარეულოში მიიწვია – სასადილო მაგიდა ხომ სურათებით იყო სავსე.



კარზე ზარმა დაინკრიალა. ბებომ კარი გამოაღო, ზღურბლთან წითელმაისურიანი ბიჭი იდგა. – ანა თელია აქ ცხოვრობსო? – იკითხა. – ანასა და მის თანაკლასელებს მაგიდაზე ფიროსმანის ნახატების რეპროდუქციები გაეშალათ – მასწავლებელმა ამ მხატვრის შემოქმედების პრეზენტაციის მოწყობა დაგვავალაო.



ნამცხვარი მიირთვეს, ჩაიც მიაყოლეს, თეფშზე ნამცხვრის მხოლოდ ერთი ნაჭერი დარჩა.

სამსახურიდან დაბრუნებულმა დედამ და მამამ ხელი არ მოჰკიდეს, იქნებ, ხვალ დილით ნიკიმ და ანუნიამ გაიყონო... იმათ კიდევე ჭამა ვერც მოასწრეს, სკოლაში ისე წავიდნენ. ნამცხვარი კი



იდო თეფშზე... იდო ნაწყენი და გაბუტული, – ნეტავი, ასეთი დასაწუნი რა მჭირსო!

– ნითელმაისურიანს უნდა შეეჭამა. იქნებ, დღეს მოვიდეს და მიირთვასო, ბებია, მაგრამ ნითელმაისურიანი არ მოვიდა.

დღეს აქ კი არა, სკოლაშიც არ მოსულაო, ანუ-ნია.

ამ ლოდინსა და გაუგებრობაში მესამე დღეც ჩამოდგა.

ბიჭებიც მოვიდნენ, გოგონებიც, ნითელმაისურიანი კი არ ჩანდა.

– არ მოვიდა და იყოს იქ! – ნაეტანა ნამცხვრიან თეფშს ლურჯმაისურიანი. სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულიაო – და სიცილით დასძინა: რასაცა შეჭამ შენია, რას – არა, დაკარგულია...

– ე... ე... ეეე! ლურჯპერანგიანო! რასაცა შეჭამ კი არა, რასაცა გასცემო, – ახმაურდნენ ბავშვები.

– ჰო, შვილო, – ჩამოართვა ბებია თეფში, „რასაცა გასცემ, შენია, რას – არა, დაკარგულია“, – ასე გვასწავლის რუსთაველი. ეს ნამცხვარი კი უკვე აღარ იჭმევა.

– მე რომ მინდა? გუშინნინ ძალიან გემრიელი იყო.

– ქათინაურისთვის მადლობა. ახლა ახალს გამოვაცხოვ, – თქვა ბებია და მაცივარი გამოაღო.

კარზე ისევ დარეკეს. ნიკიმ გააღო და ნითელმაისურიანს – გაუმარჯოსო! – შესძახა.

დედა როგორ არისო? დაეხვივნენ ბექას.

– უკეთესად, ექიმმა გვითხრა, ნამლები თავთავის დროზე მიიღოს და მოიკეთებსო.

ბავშვები ისევ ფიროსმანის ნახატების რეპროდუქციებს ჩაუსხდნენ.

მხატვრის ფოტო ზემოთ, მარცხენა მხარეს უნდა მოვათავსოთო, თქვა ლურჯმაისურიანმა.

ნითელმაისურიანი არ დაეთანხმა: ჯობს, ფიროსმანის სურათი შუაში ჩავსვათო.

ისე გაერთნენ, ვანილისა და დარიჩინის სუნი ველარც კი იგრძნეს.

ბებია მომშრალი და ნირშეცვლილი ნამცხვრის ნაჭერი სხვა ნარჩენებით სავსე ვედროში ჩაუძახა და თეფში ცხელი წყლითა და ჟელეთი გარეცხა.

– „აი, ელეთი, მელეთი, თეფშები ვრეცხე ჟელეთი იმგვარად გავაკრიალე, გაკვირდა ზღვაც და ხმელეთიც“, – ნაილილი-ნაიკიმ.

– ჩემი პოეტი ბიჭი, – გაეცინა ბებიას და ჰაერ-ლუმელში შეიხედა; ცოტას კიდევე დავიცდიო, ჩაილაპარაკა და სკამზე ჩამოჯდა.

– მადლობა ღმერთს, რომ ეს ნითელმაისურიანი ბიჭი გახარებული მოვიდა, – პირფვარი გადაინერა ქალმა და ყველა ბიჭისა და გოგონას, მათი დედიკოების ბედნიერება ინატრა...

უსმინოს უფალმა.



კრისტოფორე



ამ კროსვორდს მხოლოდ
ის შეავსებს, ვინც
ჟურნალის ყველა გვერდს
ყურადღებით წაიკითხავს.

1. ნექტარას მეგობარი
ჭიანჭველას სახელი;
2. რა ჰქვია ცეკვის
მასწავლებელს
ანგელოზების საბავშვო
ბაღში;
3. ჭიამაიას შეუძლია
გამოიცილოს ...
4. თაგვი, რომელიც
მინდვრის ანგელოზის
ფრთებზე ცხოვრობდა;
5. საიდუმლოებით მოცული
მთა ლეჩხუმში;
6. რა უნდა ერქვას ირაკლის
აზრით ბელურას?

პირველი ხუთი ბავშვი, რომელიც შეესებ-
ბულ კროსვორდს და ჟურნალში დაბეჭდი-
ლი ყველა თავსატეხის პასუხებს რედაქ-
ციაში მოგვიტანს ან ფოტოასლის სახით
გამოგვიგზავნის, საჩუქრად მიიღებს „დი-
ლის“ მიერ გამოცემულ წიგნს.



ვასალოები

ა - 1	ვ - 6	მ - 11	ყ - 16
ე - 2	ზ - 7	პ - 12	შ - 17
ი - 3	თ - 8	რ - 13	
უ - 4	კ - 9	ს - 14	
ბ - 5	ლ - 10	ჯ - 15	

სალომა მაღნარაძე
1 წლის

ლუკა ჭალიკა-ფათცალი
8 წლის



ზედმეტად დასუსტდეს!

ლინდა გუმბერიძე
5 წლის



ელენე
ვეფხვაძე
5 წლის

მარიამ ზოიძე



მთავარი რედაქტორი: დოდო ნიჭინიძე
ნახატი ყდაზე: ელენე ვარამაშვილისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
ფასი: 2.50 ლარი

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

